2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № CON220000397 - 3

ქ. თბილისი **„12“ დეკემბერი, 2023 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ზვიად ბარქაია - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ხაინდრავა - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვახტანგ ცინცაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

„2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის N2016 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2022 წლის 02 დეკემბერს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე (**CON220000397**) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას მოახსენა შემდეგი ინფორმაცია:

2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2022 წლის 19 დეკემბრის № CON220000397-2 სხდომის ოქმის საფუძველზე, 2023 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში აუქციონის გარეშე (**CON220000397**) გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - **შპს „მაგთიკომი“** (ს/ნ 204876606) და **სს „სილქნეტი“** (ს/ნ 204566978). ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ ტენდერში ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 31 იანვარი.

„2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით, **სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ფიჭური სატელეფონო მომსახურება გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000397) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტისა და 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.13. ქვეპუნქტის საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურება გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, **მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.